სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

65837103713924

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240350012

რეგისტრაციის თარიღი

22.03.2024 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე გვანცელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ა
ტელეფონი: 2 23-07-87

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

2024 (ორიათას ოცდაოთხი) წლის 22 (ოცდაორი) მარტს, მე, ნოტარიუსს ეკატერინე გვანცელაძეს, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. #39ა, მომმართა მოქალაქე: ზურაბ გოგუამ (დაბადებული 07.09.1972წ. დუშეთი, პირადი ნომერი #01010013094), როგორც ს.ს. „ბანკი ქართუ“-ს (ს.კ # 204891652) კომერციულმა დირექტორმა (დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ს.ს. „ბანკი ქართუ“-ს (ს.კ #204891652) შესახებ, მომზადების თარიღი 11/10/2023) მან გამოხატა მინდობილობის შედგენის და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე ზურაბ გოგუას პირადობა. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წაიკითხა და მოიწონა მინდობილობის გამცემმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე, ზურაბ გოგუა (დაბადებული 07.09.1972წ. დუშეთი, პირადი ნომერი #01010013094), როგორც ს.ს. „ბანკი ქართუ“-ს (ს.კ # 204891652) კომერციული დირექტორი ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ სს „ბანკი ქართუს“ თანამშრომელს, გიორგი საყვარელიძეს (პ/ნ 01017035771, დაბ. თარიღი: 25.11.1988 წ.) მასზედ, რომ იგი უფლებამოსილია სს „ბანკი ქართუ“ წარმოადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამსახურებში მათ შორის სსიპ ”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში” და სსიპ “საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში”
ამ მინდობილობით „მინდობილ პირს“ უფლება აქვს სს „ბანკი ქართუ“-ს (ს.კ. 204891652) კუთვნილი უძრავი ქონების (მისამართი: ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N7; ს/კ 01.14.14.011.060.01.01.002) გამიჯვნასთან დაკავშირებით წარადგინოს და აიღოს შესაბამისი ცნობა/დასკვნა. მინდობილი პირი უფლებამოსილია სს „ბანკი ქართუს“ სახელით ხელი მოაწეროს ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას, გარიგებას, რაც საჭირო იქნება სს “ბანკი ქართუ“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 01.14.14.011.060.01.01.002) გამიჯვნასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნული დავალებების შესრულების ფარგლებში მინდობილი პირი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სახის იურიდიული მოქმედება, წინამდებარე მინდობილობაში მათ შესახებ პირდაპირი მითითების გარეშეც, თუ ასეთი რამ აუცილებელი იქნება მიმნდობის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.
მინდობილობა გაცემულია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ე. გვანცელაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს, იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ჩემდამი რწმუნებულ სანოტარო ბიუროში თან ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან სს „ბანკი ქართუ“-ს (ს.კ. 204891652) შესახებ, მომზადების თარიღი 11.10.2023 წ.
მინდობილობა გაცემულია 2024 (ორიათას ოცდაოთხი) წლის 22 (ოცდაორი) აპრილის ჩათვლით.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა # 507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” 31-ე მუხლისა - 30 (ოცდაათი) ლარი: + დღგ 5.4 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) თანახმად საქართველოს საგდასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 5 (ხუთი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39-ე საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა # 507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ”

ხელმოწერა ----------

ნოტარიუსი: ეკატერინე გვანცელაძე